

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრის  
ოქმი: 11

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიში 2017 წლის 22 ნოემბერს, 17:00 სთ–ზე.

**ამოცანები:**

- შეხვედრა EHG–ის კონსულტანტებთან ქსს გარდამავალი გეგმის სამუშაო ვერსიის განსახილველად.

**ესწრებოდნენ:**

<i>ტიმ კლერი</i>	EHG–ის კონსულტანტი
<i>სანია მატოვიჩი</i>	EHG–ის კონსულტანტი
<i>თამარ გაბუნია</i>	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
<i>ნანა ნაბახტეველი</i>	ადგილობრივი ფინანსური აგენტი
<i>თამარ ბორცვაძე</i>	MdM, ადვოკატირების ოფიცერი
<i>ირინე ჯავახაძე</i>	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
<i>ნინო წერეთელი</i>	საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი – თანადგომა, აღმასრულებელი დირექტორი
<i>მაკა გოგია</i>	საქართველოს ზიანის შემცირების ქსელი
<i>ირინა გრძელიძე</i>	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი
<i>ნათია ხონელიძე</i>	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული ასისტენტი
<i>თამარ ზურაშვილი</i>	პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა EHG–ის კონსულტანტმა, **ბ–ნმა ტიმ კლერიმ**, რომელიც მიესალმა დამსწრეებს და გააცნო შეხვედრის მიზანი: ქსს გარდამავალი გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვა.

ბ–ნი კლერის მისასალმებელ სიტყვას მოჰყვა შეხვედრის მონაწილეთა წარდგენა.

ბ–ნმა კლერიმ ისაუბრა GIZ–ის მიერ დაფინანსებული ქსს კვლევის შესახებ, რომელიც 5 ქვეყანაში ჩატარდა: ეთიოპია, საქართველო, განა, გვინეა და მოლდოვა. მან აღნიშნა, რომ ქსს–ს მომავალი სტრუქტურისა და ფუნქციების შესახებ დისკუსიები გაიმართა კვლევის ფარგლებში ჩატარებული საქართველოს ქსს–ს ინტეგრაციის სამუშაო შეხვედრაზე, ასევე კონსულტანტების საქართველოში სხვა რამოდენიმე მომდევნო ვიზიტის ფარგლებშიც. აღნიშნული ვიზიტებისა და დისკუსიების

შედეგად გადაწყდა, რომ საქართველოს ქსს–ს შეუნარჩუნდებოდა არსებული სტრუქტურა და ფუნქციები, თუმცა შევიდოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც. ბ–ნმა კლერიმ აღნიშნა, რომ პასკ–ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, მან და მისმა კოლეგამ, ქ–ნმა სანია მატოვიჩმა, შეიმუშავეს ქსს გარდამავალი გეგმის სამუშაო ვერსია, რომლის წარდგენა, განხილვა და შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა მოხდებოდა მიმდინარე სხდომაზე.

ბ–ნმა კლერიმ დაიწყო გეგმის წარდგენა; მან მოკლედ ისაუბრა გეგმის შესავალ ნაწილზე, მიზნებსა და ამოცანებზე. გეგმის შემდეგი ნაწილი მოიცავს პრეისტორიას ქსს–ს ჩამოყალიბების შესახებ, ასევე საუბარია საქართველოს მთავრობის დადგენილება #220–ის შესახებ, რომლის თანახმადაც საბჭო წარმოადგენს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის მაკოორდინირებელ ორგანოს ეროვნულ დონეზე; მოცემულია ქსს არსებული სტრუქტურა, ჩარჩო დოკუმენტები და ფუნქციები, აღწერილია საბჭოს ორი მუდმივ–მომქმედი კომიტეტი (პასკ და საზედამხედველო კომიტეტი); და ქსს–ს კავშირები სხვა ეროვნულ ორგანოებთან / პლატფორმებთან. ბ–ნმა კლერიმ სთხოვა კომიტეტის წევრებს, გეგმის პირველ და მეორე ნაწილში არსებული ფაქტობრივი შეცდომების ან გეგმის შემუშავების შემდეგ მომხდარი ცვლილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კომენტარების მოწოდება.

ბ–ნმა კლერიმ სიტყვა გადასცა ქ–ნ სანია მატოვიჩს.

თავდაპირველად ქ–ნმა სანია მატოვიჩმა ხაზია გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველო პირველი იქნება ქსს–ს გარდამავალი გეგმის შემუშავების საკითხში. ამ პროცესისადმი რაიმე სტანდარტული მიდგომა არ არსებობს და კონსულტანტები პასკ–ის წევრებთან ერთად შეიმუშავებენ სრულიად ახალ დოკუმენტს. მან ასევე აღნიშნა, რომ გეგმაში მოცემულია კონსულტანტების წინადადებები/შემოთავაზებები, დოკუმენტი სრულიად ღიაა ნებისმიერი ცვლილებისა და ახალი ელემენტებისთვის და შეიძლება შეიცვალოს შესაბამისად; ქ–ნმა მატოვიჩმა აღნიშნა, რომ გეგმა შემუშავდა კონსულტანტების საქართველოში ბოლო ვიზიტის დროს გამართული დისკუსიების, ასევე პასკ–ის სხდომის ოქმის საფუძველზე, სადაც მოცემული იყო გეგმის შემუშავების რეკომენდაციები. მან ასევე ხაზი გაუსვა ქსს გარდამავალი პერიოდისთვის მზადების პროცესის მნიშვნელობას ქვეყნიდან გლობალური ფონდის გასვლამდე. ამის შემდეგ ქ–ნმა მატოვიჩმა წარმოადგინა გეგმაში მოცემული შემოთავაზებები ქსს გარდამავალი პერიოდის მოსამზადებელ ეტაპებთან დაკავშირებით: დროებითი, გარდამავალი პერიოდის მონიტორინგის კომიტეტის და მასთან არსებული ორი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება – (1) შესაძლებლობების განვითარების სამუშაო ჯგუფი და (2) კომუნიკაციისა და რესურსების მობილიზების სამუშაო ჯგუფი; ასევე ისაუბრა მათ როლებსა და პასუხისმგებლობებზე. მან ასევე წარმოადგინა გეგმის ცხრილ #1–ში მოცემული შესაძლებლობების განვითარების საილუსტრაციო აქტივობები. გეგმის მიხედვით, პასკ–ს ექნება აქტიური როლი ამ სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებაში და მათი მუშაობის და მთლიანად გარდამავალი პროცესის ზედამხედველობაში. ეს ცვლილებები შემოთავაზებულია განხორციელდეს 2018-2019 წლებში, რათა ყველა ეს სტრუქტურა მზად იყოს თავიანთი როლების შესასრულებლად გლობალური ფონდის გასვლის შემდეგ.

**ქ-ნმა თამარ ბორცვაძემ**, ქსს საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარემ, დასვა შეკითხვა გარდამავალ პერიოდში საზედამხედველო კომიტეტის ფუნქციების შესახებ, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წევრების შემოთავაზებულ კომიტეტსა და სამუშაო ჯგუფებში წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.

ქ-ნმა მატოვიჩმა უპასუხა, რომ საზედამხედველო კომიტეტი და პასკ-ი ქსს-ს მუდმივ კომიტეტებად დარჩება და შემოთავაზებული გარდამავალი პერიოდის მონიტორინგის კომიტეტი და მისი სამუშაო ჯგუფები შეიქმნება დროებით, გარდამავალ პერიოდში სპეციფიკური დავალებების შესასრულებლად. გეგმის მიხედვით, საზედამხედველო კომიტეტისთვის გამიზნულია სხვადასხვა შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობები და მომავალი საზედამხედველო როლის განსაზღვრა სხვადასხვა მიმართულებებში. მან ასევე აღნიშნა, რომ საჭირო იქნება ამ კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფების წევრობის განსაზღვრა და მასში წარმოდგენილი იქნებიან საზედამხედველო კომიტეტის წევრებიც.

ქ-ნი თამარ ბორცვაძის შეკითხვას ბ-ნი ტიმ კლერიც გამოეხმაურა: საზედამხედველო კომიტეტის ამჟამინდელი ფუნქცია არის გლობალური ფონდის გრანტების განხორციელების ზედამხედველობა, მაგრამ თუ გადაწყდება, რომ საზედამხედველო კომიტეტს შეუძლია პასუხისმგებლობის აღება ქსს გარდამავალი გეგმის ზედამხედველობაზეც, ეს შესაბამისად შეიძლება აისახოს გეგმაში. საზედამხედველო კომიტეტის დატვირთული სამუშაო პროცესიდან გამომდინარე, გეგმა ითვალისწინებს დროებითი, ქსს გარდამავალი გეგმის განხორციელების მონიტორინგის კომიტეტის შექმნას, რომელიც 1-2 წლის შემდეგ, გარდამავალი პროცესის დასრულებასთან ერთად, დაიშლება. ბ-ნმა კლერიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირველ რიგში საჭირო იქნება გადაწყვეტილების მიღება შემოთავაზებული სტრუქტურის დამტკიცების შესახებ და თუ გადაწყდა ახალი კომიტეტის ჩამოყალიბება, შესაძლებელი იქნება ტექნიკური დახმარების გაწევა ამ კომიტეტისა და მისი სამუშაო ჯგუფებისთვის სამუშაოს აღწერილობების შესამუშავებლად. განისაზღვრება ჯგუფების შემადგენლობა/წევრობა და რა თქმა უნდა, უზრუნველყოფილი იქნება სამოქალაქო საზოგადოების და მულტისექტორული წარმომადგენლობა.

აღნიშნული დისკუსიის შესახებ კომენტარი გააკეთა **ქ-ნმა თამარ გაბუნია**, ქსს თავმჯდომარის მოადგილემ; იგი მიიჩნევს, რომ ძნელია კომიტეტების ფუნქციონირება და ვალდებულებების მქონე წევრების ყოლა; ორი წლის წინ საზედამხედველო კომიტეტიც არ არსებობდა და ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა მის ჩამოყალიბებას; ასევე ძნელია კარგად ფუნქციონირებადი კომიტეტების შენარჩუნება. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა იმ საჭირო ფუნქციების მხარდაჭერის (შესაძლებლობების განვითარება და რესურსების მობილიზაცია) მნიშვნელობას, რომლებიც მოცემულია გეგმაში.

ქ-ნმა მატოვიჩმა აღნიშნა, რომ გეგმის მიხედვით შემოთავაზებულია ერთი კომიტეტის (TMC) შექმნა და თუ გარდამავალი პროცესის მონიტორინგისთვის ცაკლე ამის საჭიროება არ იკვეთება, ეს ფუნქცია შეიძლება შეითავსოს უკვე არსებულმა კომიტეტმა (მაგალითად საზედამხედველო კომიტეტმა); მეორე შემოთავაზება გეგმის მიხედვით არის ორი საუშაო ჯგუფის შექმნა (CDT და

CRM), ნაწილი მისი წევრებისა იქნებიან ქსს-ს წევრობიდან, ნაწილი კი მოწვეული წევრები. მან ასევე შესთავაზა ჯგუფს საერთაშორისო დახმარების შესაძლებლობა EHG/GIZ BACKUP პროექტის ფარგლებში 2019 წლამდე პერიოდში.

ბ-ნი კლერის შეთავაზებით ფოკუსირება უნდა მოხდეს 3 ძირითად ფუნქციაზე: (1) გარდამავალი პერიოდის პროცესების მონიტორინგზე, (2) ქსს-ს გაფართოებული ფუნქციონირებისთვის ადექვატური უნარ-ჩვევების განვითარების უზრუნველყოფასა და (3) დაფინანსების გზების მოძიებაზე. ქსს-მ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ვის დააკისრებს აღნიშნული ფუნქციების განხორციელებას.

ქ-ნმა თამარ გაბუნია კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ამ ფუნქციების მნიშვნელობას და შესთავაზა ჯგუფს, ქსს სტრუქტურის გართულების გარეშე პასუხისმგებლობების არსებულ სტრუქტურებზე გადანაწილება. მან აღნიშნა, რომ წარმომადგენლობა ისედაც მცირეა, ერთი და იგივე ადამიანები მუშაობენ სხვადასხვა სტრუქტურებში და ჯგუფების რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდა მეტ დაბნეულობას გამოიწვევს და სამართავადაც ძნელი იქნება. მან ასევე ხაზი გაუსვა გარე ტექნიკური დახმარების საჭიროებას სამივე აღნიშნული მიმართულებით. კიდევ ერთი გადასაჭრელი საკითხი იქნება თუ ვინ, როგორ და რა ინსტუმენტს გამოიყენებს გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგის დროს. მისი აზრით უმჯობესია, პროცესის გაგრძელება საბჭოს არსებული სტრუქტურით და საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესება დამატებითი კომიტეტებისა თუ სამუშაო ჯგუფების შექმნის გარეშე.

ბ-ნმა კლერიმ აღნიშნა, რომ პასკ/ქსს-ს ფარგლებში უნდა გადაწყდეს თუ ვინ აიღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული 3 ფუნქციის შესრულებაზე და შემდეგ გეგმაში შევა შესაბამისი ცვლილებები.

შემოთავაზებულ პროცესებთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვა საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის – თანადგომას აღმასრულებელმა დირექტორმა, **ქ-ნმა ნინო წერეთელმა**. მან მოიწონა გეგმაში აღწერილი პროცესები და ფუნქციები. დაინტერესებული მხარეების, მ.შ. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების რაოდენობა, საიდანაც უნდა მოხდეს ახალი კომიტეტებისა თუ სამუშაო ჯგუფებისთვის პირების შერჩევა, ლიმიტირებულია და მისი აზრით ერთი და იგივე ადამიანების სხვადასხვა სტრუქტურებში მუშაობა აზრს მოკლებულია.

ამის შემდეგ ბ-ნმა ტიმ კლერიმ მოკლედ წარმოადგინა გეგმის ცხრილ #2-ში მოცემული, ქსს ევოლუციის პროცესში დადგენილება #220-ში შესატანი შემოთავაზებული ცვლილებები. მან სთხოვა კომიტეტის წევრებს, აღნიშნული შემოთავაზებების საფუძვლიანი გადახედა და კომენტარების მოწოდება.

მსჯელობა გაიმართა საბჭოს შეხვედრების რაოდენობასთან დაკავშირებით. გეგმის თანახმად საბჭოს სხდომა მოიწვევა კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ 4-ჯერ. ქ-ნმა თამარ ბორცვაძემ დასვა შეკითხვა, თუ რატომ ვამცირებთ საბჭოს გაზრდილი ფუნქციების პირობებში შეხვედრების რაოდენობას. ბ-ნმა კლერიმ უპასუხა, რომ რეალურად გეგმაში წერია არანაკლებ 4-ჯერ და ამის მიზეზი არის მხოლოდ ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხი. ქ-ნმა ნინო წერეთელმა აღნიშნა, რომ

მინიმუმი უნდა იყოს განსაზღვრული და მის ზევით შესაძლებელია დამატებითი სხდომების მოწვევა საჭიროების შემთხვევაში. ქ-ნმა თამარ გაბუნიაძე აღნიშნა, რომ ქსს შეხვედრების ბიუჯეტი არ არის დიდი; ამჟამად მხოლოდ ინტენსიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესების დროს (ახალი განაცხადის ან სტრატეგიების შემუშავება) არის საჭირო ხშირი შეხვედრები. იგი მიიჩნევს, რომ წელიწადში მინიმუმ 4 შეხვედრა საკმაოდ რაციონალურია და საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირად შეიძლება საბჭოს სხდომების მოწვევა.

ამის შემდეგ ქ-ნმა სანია მატოვიჩმა წარმოადგინა ქსს ევოლუციის ძირითადი ეტაპები (გეგმის ცხრილი #3) და ტექნიკური დახმარების შესაძლებლობები. მან ასევე ისაუბრა ევოლუციის ვადებზე (გეგმის სექცია 4.4) და აღნიშნა, რომ ეს ვადები არ არის ფიქსირებული, პასუ/ქსს-ს გადაწყვეტილებით ისინი შეიძლება დაექვემდებარონ ცვლილებას. ბ-ნმა ტიმ კლერიმ აღნიშნა, რომ ეს ვადები განისაზღვრა კონსულტანტების კონტრაქტის მიხედვით, რომელიც 2018 წლის ბოლოს იწურება და ამ პერიოდის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი ტექნიკური დახმარების ჩადება უნდოდეთ გეგმაში.

შემდგომ ბ-ნმა ტიმ კლერიმ ისაუბრა გარდამავალი პერიოდის გამოწვევებისა და ბარიერების შესახებ. ასევე წარმოადგინა მონიტორინგის ინსტუმენტი. შემოთავაზებულია, შეიქმნას „დეშბორდის“ (საზედამხედველო აქტივობების მონიტორინგის) მსგავსი გვერდი, მოხდეს მისი ადაპტირება და გამოყენება ქსს ევოლუციის მონიტორინგის პროცესში. და ბოლოს, ქსს სამომავლო ფინანსური მექანიზმების შესახებ საუბრისას, მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცხრილში ბევრი გამოტოვებული პუნქტია, რომლის შესახებაც ინფორმაციის მოწოდება სთხოვა პასუ-ის წევრებს. იგი თვლის, რომ ახალ და ძველ ბიუჯეტებს შორის სხვაობა (უნდა მოხდეს საბჭოს ბიუჯეტის შემცირება) დაგეგმარება ფინანსური მხარდაჭერის მოპოვებაში; მართალია რთულია 5 წლით ადრე ბიუჯეტის დაგეგმვა, თუმცა საჭიროა ადრეულ ეტაპზე დისკუსიების და ადვოკატირების დაწყება ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში მის გასათვალისწინებლად.

ბ-ნმა ტიმ კლერიმ დისკუსია გახსნილად გამოაცხადა.

ქ-ნმა თამარ გაბუნიაძე ხაზი გაუსვა გარდამავალი პერიოდის დაგეგმვისთვის ვადების განსაზღვრის მნიშვნელობას, აღნიშნა, რომ გლობალური ფონდის პროგრამები 2022 წლის ჩათვლით გარძელებს და იკითხა გლობალური ფონდის გასვლამდე საბჭოს სტრუქტურის ცვლილების საჭიროების შესახებ.

ბ-ნმა ტიმ კლერიმ უპასუხა, რომ გლობალური ფონდის შემოთავაზებით ისეთივე დიფერენცირებული მიდგომა იქნება ქსს-ების მიმართ, როგორც ეს ქვეყნების მიმართ არის. აღნიშნული საკითხის განხილვა მოხდება გაზაფხულზე, გლობალური ფონდის საბჭოს მომდევნო შეხვედრაზე. ის თვლის, რომ უნდა დაველოდოთ გლობალური ფონდის მითითებებსა და მიდგომებს და იმავდროულად გავაგრძელოთ ქსს გარდამავალი პროცესების განვითარება.

ქ-ნი თამარ გაბუნიაძე მომდევნო შეკითხვა ეხებოდა შესაძლებლობების გაძლიერების სფეროს. მან აღნიშნა, რომ ეს არის უწყვეტი პროცესი და საბჭო მუდმივად ჩართულია მასში. ის თვლის, რომ შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება არის 2 მიმართულებით: (1) პროგრამული გარდამავალი პერიოდის და მდგრადობის უზრუნველყოფის (ქსს-ს პასუხისმგებლობაა გარდამავალი პერიოდის

პროცესის ზედამხედველობა) და (2) ქსს–ს ევოლუციის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ საბჭო არ არის სტატიკური ორგანო, მუდმივად ხდება წევრების გადინება და ახლების დამატება და იკითხა თუ ვინ შეიძლება იყოს სამიზნე შესაძლებლობების გაძლიერებისთვის.

ბ–მა ტიმ კლერიმ უპასუხა, რომ თავდაპირველად უნდა გადაწყდეს ქსს–ს ძირითადი ფუნქციების გაფართოების, წევრთა რაოდენობის შემცირების, სამომავლო აქტივობებისა და ჩარჩო დოკუმენტების ცვლილებების საკითხი და შესაბამისად საჭირო იქნება ამჟამინდელი წევრების რეორიენტაცია ამ ცვლილებებთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია მოკლე საორიენტაციო პაკეტების შემუშავება ან ნახევარდღიანი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.

ქ–ნმა თამარ გაბუნიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭო მუდმივად ახდენს ახალი წევრების ორიენტაციას; გამომდინარე იქიდან, რომ ქსს უნდა ინტეგრირდეს ჯანდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში, უნდა გავითვალისწინოთ ამ უკანასკნელის შესაძლებლობების გაძლიერებაც.

ქ–ნმა სანია მატოვიჩმა უპასუხა, რომ გეგმის შესაძლებლობების განვითარების საილუსტრაციო აქტივობების ერთ–ერთ სამიზნე ჯგუფია ჯანდაცვის სამინისტროს ძირითადი დაინტერესებული მხარეები.

ქ–ნმა თამარ გაბუნიაშვილმა ვადებთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი. მისი აზრით არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ქსს–ს მიმდინარე წევრები სრულად შენარჩუნდებიან საბჭოს შემადგენლობაში გარდამავალი პერიოდის ან მის შემდეგ; მიუხედავად იმისა, რომ ძნელია ახალი ჯგუფების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება, უნდა შეირჩეს ვინმე და ეს შესაძლოა იყოს შესაძლებლობების განვითარების სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს გარდამავალ პერიოდში და მის შემდეგაც გარკვეული ხანი და უზრუნველყოფს ახალი წევრების უნარების განვითარებას. ქ–ნი თამარი თვლის, რომ საჭიროა შესაძლებლობების გაძლიერების მეტ–ნაკლებად პერმანენტული მექანიზმების შემუშავება.

ბ–ნმა ტიმ კლერიმ გაუზიარა ჯგუფს სხვა ქვეყნების გამოცდილება, სადაც კონსულტანტებმა შეიმუშავეს ფორმალური მენტორული პროგრამა საბჭოს მიმდინარე და ახალ წევრებს შორის: ჩვეულებრივ საბჭოს სამდივნო უტარებს ახალ წევრს მოკლე ორიენტაციას ძირითადი წესების, რეგულაციებისა და ფუნქციების შესახებ, შემდეგ სხვადასხვა პროცესების ერთობლივად გავლის მიზნით აწყვილებს ახალ წევს მიმდინარესთან. ბ–ნი კლერი თვლის, რომ ცალკე სამუშაო ჯგუფის შექმნის მაგივრად საქართველოს ქსს შეუძლია მსგავსი მიდგომის გამოყენება, თუმცა ამ შემთხვევაში ქსს–ს არსებულ წევრებს მოუწევთ დამატებითი ვალდებულებების აღება.

ქ–ნი თამარ გაბუნიაშვილმა აზრით, მომავალში, საბჭოს გაფართოებული ფუნქციების გათვალისწინებით, სამდივნოს 1 თანამშრომელი შესაძლოა არ იყოს საკმარისი.

ბ–ნმა ტიმ კლერიმ უპასუხა, რომ საბჭოს სამდივნოს შემცირება მხოლოდ ბიუჯეტის შემცირების მიზანს ემსახურება. სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს მეორე კადრის დაფინანსებაც.

ქ-მა თამარ გაბუნია ამ აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს გააჩნია საკუთარი ინსტიტუციური ღონისძიებები და საკონსულტაციო პროცესები და დისკუსიები ყველა აღნიშნულ საკითხზე უნდა მოხდეს ამ დონეზე (ჯანდაცვის დეპარტამენტი, მინისტრის მოადგილე).

შეხვედრის დასასრულს EHG-ის კონსულტანტებმა ასევე შესთავაზეს ქსს-ს 2018 წლის განმავლობაში ტექნიკური დახმარების შესაძლებლობა სხვა სფეროებშიც.

ქ-მა თამარ გაბუნია შეაჯამა შეხვედრა და მადლობა გადაუხადა დამსწრეებს მონაწილეობისათვის.

**შემდგომი ნაბიჯები:**

- პასკ-ის წევრები ქსს გარდამავალი გეგმის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით წარადგინენ კომენტარებს მიმდინარე წლის 8 დეკემბრამდე;
- პოლიტიკისა და ადვოკატირების სპეციალისტი ხელს შეუწყობს პასკ-ის ფარგლებში დისკუსიებს, შეიმუშავებს პასკ/ქსს-ს კომენტარების კონსოლიდირებულ ვერსიას და გაუზიარებს EHG-ის კონსულტანტებს.

**ოქმის შემდგენელი – თამარ ზურაშვილი**

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი

ნინო ბერძული

თამარ ზურაშვილი

პასკ-ის თავმჯდომარე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მოადგილე

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი